იურიდიული ფირმა „ბიელსი“
აღმაშენებლის გამზ. 129ა
თბილისი, 0102, საქართველო
ტელეფონი: (995 322) 92 24 91; 93 25 03; 92 00 86;
ელ-ფოსტა: blc@blc.ge
ვებგვერდი: www.blc.ge

მემორანდუმი

ვის: შპს “სიგნიფაი” [საიდენტიფიკაციო კოდი: 405432580] („კლიენტი“)
ვისგან: იურიდიული ფირმა „ბიელსი“
თარიღი: 13.04.2023
თემა: ელექტრონული ხელმოწერა, როგორც სტანდარტული ხელმოწერის ალტერნატივა და მისი უპირატესობები

წინამდებარე მემორანდუმი გაცემულია ზემოთ მითითებულ ადრესატზე და მხოლოდ ის არის უფლებამოსილი დაეყრდნოს მას. ქვემორე ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს კლიენტის პარტნიორებს მხოლოდ ინფორმაციის მიზნებისთვის და არა მასზე დაყრდნობით მოქმედების განხორციელების მიზნით. იურიდიული ფირმა „ბიელსი“-ის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება პასუხისმგებლობით მხოლოდ კლიენტის წინაშე. წინამდებარე მემორანდუმი შემოფარგლულია უშუალოდ მასში მიმოხილული საკითხებით და არ არის მიჩნეული, რომ იგი ვრცელდება განმარტებებზე, დაზუსტებებზე და საკითხებზე, რომლებიც მასში უშუალოდ არაა განხილული.

წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის ჩვენ მიმოვიხილეთ ის ინფორმაცია, რომელიც მოგვაწოდა კლიენტმა და აღნიშნულია ქვემოთ და ასევე საქართველოს კანონები, ინსტრუქციები და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მემორანდუმი ეფუძნება არსებული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, რომელიც შეიძლება არ დაემთხვეს სასამართლოს ინტერპრეტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე მემორანდუმის ეხება საკითხებს, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლო პრაქტიკა ჯერჯერობით მწირია და არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

I. შესავალი

ჩვენ, იურიდიული ფირმა „ბიელსი“-ის იურისტებმა, მივიღეთ დავალება კლიენტისაგან რათა დაგვეიდენტიფიცირებინა ის სამართლებრივი უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც გააჩნია ჩვეულებრივ ბიზნეს-ურთიერთობებში ელ. ხელმოწერით სარგებლობას. კლიენტი წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა Signify-ს [ხელმისაწვდომი ბმულზე: signify.ge] მესაკუთრეს. Signify-ს პლატფორმა იძლევა ავთენტიფიკაციის განსხვავებული მეთოდების გამოყენებით დოკუმენტებზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობას. წინამდებარე მემორანდუმი მიმოიხილავს ზოგად დებულებებს ხელშეკრულებებში ნების ნამდვილობის გამოხატულებასთან დაკავშირებით, კვალიფიციური ელექტრონულ ხელმოწერისა და ჩვეულებრივი ელექტრონული ხელმოწერის თავისებურებებს და ასევე დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებს. ამ დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი მიმოიხილავს პლატფორმა Signify-ს მეშვეობით ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

II. ფარგლები, დაშვებები და პასუხისმგებლობის გამორიცხვა

(i) წინამდებარე მემორანდუმი მიემართება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს. ჩვენ არ შეგვიფასებია პოტენციური კომერციული ან ფინანსური შედეგები აქ განხილული ნებისმიერი საკითხისა.

(ii) წინამდებარე მემორანდუმში განხილულ საკითხებზე გავლენას არ ახდენს საქართველოს კანონმდებლობის გარდა რაიმე სხვა კანონმდებლობა და/ან იურისდიქცია, იმდენად რამდენადაც ასეთი შესაძლოა რელევანტური იყოს, იგი ჩვენს მიერ შეფასებული არ ყოფილა. ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე შეფასებას საქართველოს სამომავლო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას და ყველა კანონს, დადგენილებას, ბრძანებას, და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ოფიციალურად და ფაქტობრივად ქვეყნდება (გამოქვეყნების თარიღისა და ნუმერაციის მიუხედავად) და ძალაშია წინამდებარე მემორანდუმის თარიღისათვის;

(iii) წინამდებარე მემორანდუმში განხორციელებული მიგნებებისა და დასკვნების მნიშვნელობის დაკნინების გარეშე, გვსურს შევზღუდოთ ჩვენი მსჯელობა იმ გარემოებით, რომ შესაბამისი იურისდიქციის (საქართველო) სამართლებრივი სისტემა შედარებით ახალია და განიცდის სწრაფ განვითარებას. შესაბამისად, ჩვენი კომენტარები და დასკვნები ასახავს ჩვენს აღქმას, რომელიც ეფუძნება ძალაში მყოფ კანონმდებლობას, ხელმისაწვდომ ოფიციალურ განმარტებას და არაოფიციალურ დისკუსიებს შესაბამის მარეგულირებლებთან და კერძო სექტორთან. ოფიციალური განმარტებების არარსებობისას და ასევე სასამართლოთა და მარეგულირებლების გამოცდილების ნაკლოვანების პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ რაიმე დარწმუნება რომ მარეგულირებლების და/ან სასამართლოს პოზიცია დაემთხვევა წინამდებარე მემორანდუმში არსებულ კომენტარებს. ასევე, ჩვენ არ ვაკეთებთ რაიმე შეფასებას იმ ინტერპრეტაციებისა და კანონებისა, რომელიც გამოცემულ იქნება წინამდებარე მემორანდუმის თარიღის შემდეგ.

(iv) წინამდებარე მემორანდუმი შეიცავს შესაბამისი სამართლებრივი დებულებების შეზღუდულ მიმოხილვას და ეყრდნობა გარკვეულ დაშვებებს, რომელიც ეხება კლიენტის მიერ მოწოდებული კონკრეტული ფაქტობრივ გარემოებებს მის ბიზნეს პროცესებთან დაკავშირებით. ის არ წარმოადგენს სამართლებრივ დასკვნას. მისი მიზანი აგრეთვე არ არის დეტალურად აღწეროს თითოეული და ყველა რეგულაცია.

III. სამართლებრივი შეფასება

წინამდებარე მემორანდუმი, აღქმადობის გამარტივების მიზნით, დაყოფილია თემატურ სათაურებად, რომლებიც მიემართება მასში განხილულ თემატიკას.

a. ხელშეკრულების რაობა

ხელშეკრულება წარმოადგენს გარიგების სახეს, რომელიც მხარეთა სიმრავლეს მოიაზრებს. პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა ორმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულება, როგორც გარიგება, მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ და მისი არსებობის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია მხარეთა ნების გამოვლენა მის დასადებად.

სტანდარტული წესის თანახმად, ხელშეკრულება არ მოითხოვს წერილობით ფორმას, გარდა იმ კონკრეტული შემთხვევებისა, რომლებზეც პირდაპირ არის შესაბამისი მითითება კანონმდებლობაში - მაგალითად, იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი წერილობითი ფორმით დადება, რადგან ის უნდა დარეგისტრირდეს სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოში იურიდიული ნამდვილობისათვის[1]. თუმცა, ასეთი მკაცრი მოთხოვნა არ ვრცელდება ხელშეკრულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაზე[2].

მიუხედავად იმისა, რომ კანონით წერილობითი ფორმა არ არის აუცილებელი ატრიბუტი უმრავლესობა ხელშეკრულებისა, საზოგადოებრივ და ბიზნეს ურთიერთობებში ხელშეკრულებათა უდიდესი ნაწილი იდება წერილობით, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში გაცილებით მარტივდება იმის დადგენა, ვის მიერ, როდის და კონკრეტულად რაზე შედგა ესა თუ ის შეთანხმება. აღნიშნული მიდგომა ასევე განმტკიცებულია კანონით[3]. სტანდარტული წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, როგორც წესი, შეიცავს არსებით პირობებს იმ ფორმით, რა ფორმითაც მათზე შეთანხმდნენ მხარეები და მისი ნამდვილობისათვის საკმარისია მონაწილე მხარეთა ხელმოწერა[4].

[1] მუხლი 289, პარაგრაფი 1, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
[2] მუხლი 68, იქვე.
[3] მუხლი 69, პარაგრაფი 2, იქვე.
[4] პარაგრაფი 3, იქვე.

b. ელექტრონული ხელმოწერა - სტანდარტული ხელმოწერის ალტერნატივა

ახლო წარსულამდე, ხელმოწერის შესრულების ერთადერთი კანონიერი გზა იყო ე.წ. მატერიალური, ანუ სველი ხელმოწერა. თუმცა, ციფრული კომუნიკაციებისა და ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ცხადი გახდა, რომ მატერიალური ხელმოწერა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე გამოწვევებს. სწორედ ამიტომ, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად, საქართველომაც მიიღო გარკვეული საკანონმდებლო რეგულაცია ელექტონული დოკუმენტისა და ელექტრონული გზით შესრულებული ხელმოწერების თაობაზე - ეს არის კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ.

აღნიშნული კანონი წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოს ევროინტეგრაციისკენ და ეფუძნება „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო სერვისებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №910/2014 რეგულაციას (eIDAS). იგი განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს და აძლევს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საშუალებას ერთმანეთთან დადონ ხელშეკრულებები ციფრულ/ელექტრონულ ფორმატში, აღნიშნული ხელშეკრულებების იურიდიული ნამდვილობისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

ელექტრონული ხელმოწერის შესრულება შესაძლებელია ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლისგან (შემდგომში - ელექტრონული მომსახურების მიმწოდებელი) შესაბამისი მომსახურების მიღებით. ელექტრონული მომსახურების მიწოდება არ არის ლიცენზიას ან ნებართვას დაქვემდებარებული (რეგულირებადი) საქმიანობა.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების ელექტრონულ ან/და ტექსტურ ფორმას. თუმცა არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ელექტრონული/ტექსტური ფორმით დადებულ გარიგებებს უთანაბრებს წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებებს[5]. სამოქალაქო კოდექსის კომენტარებშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ „...წერილობითი ფორმის თითქმის ყველა ფუნქცია სრულდება ელექტრონული ფორმის გამოყენების შემთხვევაშიც. წერილობითი ფორმა უნდა ემსახურებოდეს მიზანს, ხელშეკრულების დადება გამიჯნოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობისგან და მისი შინაარსი ცხადად

[5] იხ. სუსგ საქმე № ას-805-2021 16 მარტი, 2022 წელი - აღნიშნულ საქმეზე მხარეებს შორის ელექტრონული ფორმით იყო დადებული სესხის ხელშეკრულება, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა პირგასამტეხლო, რომლის ნამდვილობისთვის მოთხოვნილია წერილობითი ფორმა. აგრეთვე, იხ. სუსგ საქმე №ას-1161-2018 15 ოქტომბერი, 2020 წელი, ამ გადაწყვეტილების თანახმად, **საკასაციო პალატის მოსაზრებით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება წერილობითი ხელშეკრულების სახესხვაობად უნდა განვიხილოთ.** უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს განსხვავებული მიდგომაც, კერძოდ იხ. სუსგ №ას-1085-2019 24 თებერვალი, 2021 წელი. აგრეთვე, საქმე №ას-405-2021 29 ივნისი;

წარმოადგინოს. ეს ფუნქცია ელექტრონული ფორმით ისევე სრულდება როგორც წერილობითი ფორმით. იგივე შეიძლება ითქვას მტკიცების ფუნქციასთან დაკავშირებით...“[6] ამდენად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ არსებობს ელექტრონულად შედგენილი და ხელმოწერილი დოკუმენტების ჩვეულებრივ ხელმოწერასთან გათანაბრების სამართლებრივი საფუძვლები.

c. ელექტრონული ხელმოწერის ტიპები და ნამდვილობა

თანახმად საქართველოს კანონისა ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ (შემდგომში - ელ. ხელმოწერის კანონი), ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება[7]. კანონი იცნობს რამდენიმე ტიპის ელექტრონულ ხელმოწერას, კერძოდ:

- ელექტრონული ხელმოწერა, ანუ ე.წ. ჩვეულებრივი ელ-ხელმოწერა, რომლის დეფინიციაც მოცემულია ზემოთ;

- განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
    a. იგი მხოლოდ ხელმომწერთანაა დაკავშირებული;
    b. მისი მეშვეობით ხელმომწერის დადგენაა შესაძლებელი;
    c. იგი შექმნილია ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იმ მონაცემების საშუალებით, რომელთა გამოყენებაც ხელმომწერს, მტკიცე რწმუნებით, ერთპიროვნული კონტროლით შეუძლია;
    d. იგი ხელმოწერილ მონაცემებთან ისეა დაკავშირებული, რომ მათი შემდგომი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა[8]; და

- კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული[9].

ზემოთჩამოთვლილთაგან, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია ნამდვილობის პრეზუმფიცია[10]. თუმცა, აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს კვალიფიციურისგან განსხვავებული ელექტრონული ხელმოწერა არ არის ნამდვილი. პირიქით,

---

[6] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I, მუხლი 69, გვ. 405, თორნიკე დარჯანია

[7] იქვე, პუნქტი „ე“, საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ.

[8] იქვე, პუნქტი „ლ“.

[9] მუხლი 2, პუნქტი, პუნქტი „მ“,საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ.

[10] იქვე, მუხლი 3, პარაგრაფი 1.

კანონმდებლობა პირდაპირ აღიარებს და აწესებს, რომ კანონი არ ზღუდავს ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებას, საკუთარი არჩევანის შესაბამისად გამოიყენონ განსხვავებული პირობების შესაბამისად შესრულებული ელექტრონული დოკუმენტი ან/და ელექტრონული ხელმოწერა[11]. კანონის 3 (7) პუნქტის თანახმად *დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოებისას და სასამართლოში სამართალწარმოებისას ელექტრონული ხელმოწერისათვის ან/და ელექტრონული შტამპისათვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის არ აკმაყოფილებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისათვის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპისათვის ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს.* უფრო მეტიც, თუ ფიზიკურ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის შეთანხმება არსებობს, ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას ამ პირებისათვის აქვს, შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა[12].

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ **თუ ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებობს საამისო შეთანხმება (რომელიც შესაძლოა თავად ხელშეკრულებაში იყოს ასახული), მხარეთა მიერ არჩეული ელექტრონული მომსახურების მიმწოდებლის მიერ შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა მათთვის სავალდებულოა და მატერიალური ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა**.

d. მტკიცების ტვირთის თავისებურებანი

ელექტრონული ხელმოწერის, როგორც ხელმოწერის ნაირსახეობის, შედარებითი სიახლის გამო, ხშირად გარკვეულ უნდობლობას იწვევს მისი ნამდვილობის დადასტურების პრობლემატიკა დავისას, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების ნორმატიული საფუძველი არსებობს.

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ Signify-ს მეშვეობით გაკეთებული ხელმოწერის არსებობის შემთხვევაში მისი ავთენტურობის დადასტურების საკითხს სასამართლოში. აგრეთვე, გავაანალიზებთ Signify-ს მეშვეობით ხელმოწერილი დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების სანდოობის საკითხს.

პირველ რიგში განვიხილავთ დისტანციურად ხელშეკრულების დადების იმ გზებს, რომელიც წლების განმავლობაში დამკვიდრდა და დღემდე ფართოდ გამოიყენება ქართულ ბინზეს-პრაქტიკაში. დისტანციურად ხელშეკრულების დადების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია ელ. ფოსტით დადებული ხელშეკრულებები და ვებ-გვერდზე განთავსებულ პირობებზე ე.წ. დაკლიკების გზით დადებული ხელშეკრულებები (Clickwrap Agreement).

[11] იქვე, მუხლი 1, პარაგრაფი 2.
[12] იქვე, მუხლი 3, პარაგრაფი 8.

e. ელ. ფოსტით დადებული ხელშეკრულებები

ელ ფოსტით დადებული ხელშეკრულებები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: 1. უშუალოდ ელ. ფოსტით გარიგების პირობებზე შეთანხმება - რომელიც, არსებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შესაძლებელია ჩაითვალოს „წერილობით“ დადებულ ხელშეკრულებად[13]; და 2. ელ ფოსტით, წერილობითი ხელშეკრულების დასკანერებული ასლების გაცვლა.

ელ. მიმოწერის შედეგად ხელშეკრულების დადების დროს ჩნდება შემდეგი ძირითადი რისკები:

1. ელ. მიმოწერა შეიძლება არ იყოს კომუნიკაციის უსაფრთხო ფორმა, რადგანაც მასზე შესაძლებელია განხორციელდეს მესამე პირის მიერ უკანონო წვდომა, მათ შორის, შეთანხმების პირობების განსაზღვრა/შეცვლა[14].
2. შესაძლებელია სადავო იყოს ელ. ფოსტის გაგზავნის უშუალო ფაქტი - მხარემ შეიძლება მიუთითოს, რომ ელ. ფოსტა მას არ ეკუთვნის ან ელ. ფოსტაზე სხვა პირმა განახორციელა უკანონო წვდომა და მის მაგივრად გააგზავნა ხელშეკრულება.
3. შესაძლებელია ერთ-ერთმა მხარემ სადავოდ გახადოს ელ. ფოსტით გაგზავნილ ხელშეკრულებაზე დატანილი ხელმოწერის ავთენტურობა. მაგალითად, მიუთითოს, რომ ხელი მოაწერა არაუფლებამოსილმა პირმა. ვინაიდან ასეთ დროს გარიგება იდება დისტანციურად და ხელმოწერას უშუალოდ არ ესწრება არც კონტრაჰენტი და არც ნეიტრალური მესამე პირი (მაგ: ნოტარიუსი), არსებობს შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულება მართლაც არ იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და მისი სახელით სხვამ მოწეროს ხელი. ამავდროულად, ელექტრონულად, ვინაიდან იცვლება დასკანერებული ხელშეკრულება (ასლი), აღნიშნულზე არ მოხერხდება ხელმოწერის ნამდვილობის ექსპერტიზის ჩატარება.
4. შესაძლებელია ვერ დადგინდეს ხელმოწერის კავშირი დოკუმენტის მთლიანობასთან (ნამდვილად ის შინაარსი ჰქონდა თუ არა დოკუმენტს, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ);
5. არ დგინდება ხელმოწერის დრო (ამ გზით ხელმოწერილი დოკუმენტი არ იძლევა დოკუმენტის ხელმოწერის დროის განჭვრეტის შესაძლებლობას).

თითოეულ ზემოაღნიშნულ შემთხვევას სჭირდება სასამართლოში მტკიცება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის („სსკ“) 102-ე მუხლის თანახმად *თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.*

---

[13] იხ. სუსგ საქმე № ას-805-2021 16 მარტი, 2022 წელი - აღნიშნულ საქმეზე მხარეებს შორის ელექტრონული ფორმით იყო დადებული სესხის ხელშეკრულება, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა პირგასამტეხლო, რომლის ნამდვილობისთვის მოთხოვნილია წერილობითი ფორმა. აგრეთვე, იხ. სუსგ საქმე №ას-1161-2018 15 ოქტომბერი, 2020 წელი, ამ გადაწყვეტილების თანახმად, **საკასაციო პალატის მოსაზრებით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება წერილობითი ხელშეკრულების სახესხვაობად უნდა განვიხილოთ.**

[14] მაგალითი: არსებობს შემთხვევები, როდესაც უკანონოდ ხდება ელ. მიმოწერაზე წვდომა, შემდგომ ასევე უკანონოდ შექმნილი მსგავსი/იდენტური იმეილ ექაუნთით შეთანხმების ისეთი პირობის შეცვლა, როგორიც არის თანხის მიმღები მხარე, და შემდგომში ინვოისის გაგზავნა, რის შედეგადაც თანხა ირიცხება არა კონტრაქტორთან არამედ მესამე პირთან.

მხარე რომელიც მიუთითებს, რომ ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნია მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ვალდებულია დაამტკიცოს ხელშეკრულების დადების ფაქტი. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის მოხდა მხოლოდ ელ. ფოსტების გაცვლა, მოსარჩელეს იმის მტკიცებაც მოუხდება, რომ ის ელ.ფოსტა, რომლიდანაც მიიღო ხელშეკრულების პირობებზე თანხმობა, ეკუთვნის მოპასუხეს. აღნიშნულის დადასტურება კი შეიძლება უკიდურესად რთული ან შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს.

მხარემ რომელიც უთითებს, რომ განხორციელდა მის იმეილის ან/და ვებ-გვერდზე გახსნილ ანგარიშზე უკანონო შეღწევა და ინფორმაციის შექმნა/მოდიფიცირება/წაშლა, უნდა დაადასტუროს ეს ფაქტი. ამ ფაქტის დადასტურება შეიძლება არ იყოს მარტივი და საჭირო გახდება შესაბამისი ექსპერტიზ[ებ]ის ჩატარება.

საყურადღებოა, რომ მსგავსი ექსპერტიზის ჩატარება გარკვეულ სირთულეებთან, დროსთან და ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, საქართველოში რთულია დამოუკიდებელი, კვალიფიციური ექსპერტის პოვნა, რომელიც მოამზადებს შესაბამის დასკვნას. როგორც ექსპერტის მოძიების პროცესი, ისე უშუალოდ დასკვნის მომზადება მოითხოვს დროს და შესაბამის დანახარჯებს. ამასთან გარანტირებული არ არის, რომ ექსპერტი შეძლებს დაადგინოს ზუსტად რა მოხდა, განხორციელდა თუ არა უკანონო წვდომა მხარის ანგარიშზე, დოკუმენტის ცვლილება და ა.შ.

f. ვებ-გვერდზე განთავსებულ პირობებზე დაკლიკების გზით დადებული ხელშეკრულებები

დაკლიკების გზით (დათანხმების ველის მონიშვნის) დადებული ხელშეკრულებები ასევე სხვადასხვა ფორმით იდება. ჩვენს შემთხვევაში მაგალითის სახით განვიხილავთ მხოლოდ ვებ-გვერდზე განთავსებულ პირობებს, რომელზე დათანხმებაც ხდება შესაბამის თანხმობის ღილაკზე დაკლიკების გზით. ამ შემთხვევაშიც ჩნდება მთელი რიგი პრობლემებისა ავთენტურობასთან დაკავშირებით:

1. არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების დადება. კერძოდ არა იმ პირის მიერ ვინც რეგისტრირებულია, არამედ მესამე პირის მიერ.
2. უკანონო წვდომის გზით შეთანხმებული პირობების შეცვლა. ტექნიკურად შესაძლებელია ასეთი ხელშეკრულებებზე უკანონო წვდომის მოპოვება და პირობების შეცვლა.
3. მტკიცებულებების არარსებობა. დავის შემთხვევაში შესაძლებელია რთული ან შეუძლებელი იყოს იმის დამტკიცება, რომ მომხმარებელმა ნამდვილად დააკლიკა „ვეთანხმები“ ღილაკს.
4. გაყალბება. ამგვარი ხელშეკრულების გაყალბება შესაძლებელია მარტივად. შესაძლებელია შეიქმნას ხელშეკრულება და წარდგენილ იქნას, როგორც მომხმარებელთან დადებული ნამდვილი ხელშეკრულება.
5. შესაძლებელია ვერ დადგინდეს ხელმოწერის კავშირი დოკუმენტის მთლიანობასთან (ნამდვილად ის შინაარსი ჰქონდა თუ არა დოკუმენტს, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ);
6. სირთულეს წარმოადგენს ხელმოწერის დროის განსაზღვრა;

7. სისტემა, რომელშიც ხდება "დაკლიკება" არის ერთ-ერთი მხარის სრული კონტროლის ქვეშ; ლოგ ფაილების, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ ტექსტურ ფაილებს და რომლებიც მტკიცებულების სახით შეიძლება მხარემ წარადგინოს, ავთენტურობის დამტკიცება არის რთული (მათ შორის, როდის შეიქმნა, ნამდვილად ამ ფორმულირებით იყო თუ არა შექმნილი და ა.შ.).

ასეთი გარიგებების სადავოდ გახდის შემთხვევაშიც, მტკიცების პროცესი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება შესაბამისი ექსპერტიზის შედეგებზე.

g. Signify-ს მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები

Signify მომხმარებელს სთავაზობს ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების მომსახურებას. კერძოდ, Signify-ს პლატფორმაზე დოკუმენტის გაგზავნისას ინიციატორი (პირი, რომელიც აგზავნის დოკუმენტს ხელმოსაწერად) - განსაზღვრავს ხელმოწერისა და ვერიფიკაციის/ ავთენტიფიკაციის პროცესს. ინიციატორი ატვირთავს დოკუმენტს და უთითებს მიმღები/ხელმომწერი პირების სახელს, გვარს და ელ.ფოსტის მისამართს; ინიციატორი თითოეული მიმღებისთვის განსაზღვრავს რა ფორმით უნდა მოხდეს ხელმოწერა, SMS ვერიფიკაციის გზით, ვიდეო იდენტიფიცირების გზით თუ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დატანის გზით. მიმღებთან დოკუმენტის ბმული იგზავნება ელ.ფოსტით. გახსნისას მიმღები ეთანხმება კონფიდენციალობის პოლიტიკას (პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ) მიმღები ეცნობა დოკუმენტის შინაარსს ხელმოწერას აკეთებს ინიციატორის მიერ განსაზღვრული ავთენტიფიკაციის მეთოდით.

ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნება Signify-ს მიერ შეთავაზებული ელექტრონული ხელმოწერის ზემოაღნიშნული სამი ძირითადი ფორმა:

1. SMS კოდით ვერიფიკაციის გზით ხელმოწერა; SMS კოდით ვერიფიკაციის დროს, ხელმომწერის ტელეფონის ნომერზე იგზავნება ერთჯერადი SMS კოდი. მხარის მიერ კოდის შეყვანის შედეგად დასტურდება მითითებული ნომრის სისწორე.
2. 2. ვიდეო ინდენტიფიკაციით ხელმოწერა; ვიდეო იდენტიფიკაცია გულისხმობს ხელმომწერი მხარეების მიერ კამერის ჩართვის გზით სახის დაფიქსირებას. აღნიშნული წესით ხელმოწერის დროს გარდა ელ. ფოსტისა და მობილურის ნომრისა, ხდება უშუალოდ ადამიანის სახის და მისი პირადობის მოწმობის ან პასპორტის გადამოწმება.
3. 3. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ხორციელდება სახელმწიფოს, კერძოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი ციფრული ხელმოწერის სერთიფიკატის დახმარებით.

მტკიცებითი თვალსაზრისით, თითოეული აღნიშნული პროცედურა იძლევა, მესამე დამოუკიდებელი პირის (Signify) მიერ ხელმოწერის ფაქტის დადასტურების შესაძლებლობას. ხელმოწერის შედეგად დგება შესაბამისი მტკიცებულებათა ანგარიში (რეპორტი). რეპორტში ყველა

ზემოაღნიშნული ფორმით ხელმოწერის შემთხვევაში აისახება: ელ. ფოსტა, რომელზეც ხდება დოკუმენტის გაგზავნა, IP მისამართი, გამოყენებული მოწყობილობა, ოპერაციული სისტემის ვერსია და ბრაუზერის ვერსია, ხელმოწერის დრო.

დამატებით, არჩეული ხელმოწერის მეთოდის მიხედვით აისახება:

- მობილური ტელეფონის ნომერი (SMS-ით ვერიფიკაციის შემთხვევაში);
- პირადობის მოწმობის/პასპორტის დეტალები და მათი ასლები და კამერით გადაღებული დინამიური სელფი (ვიდეო იდენტიფიკაციის შემთხვევაში)
- კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შემთხვევაში ხელი ეწერება პირდაპირ კვალიფიციური ხელმოწერის ციფრული სერტიფიკატით, რომელიც ხელმომწერის სახელზეა გაცემული. შესაბამისად, მიეთითება ამ სერტიფიკატის დეტალები

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ხდება გარიგების დადების ზუსტი დროის დოკუმენტირება. შესაბამისად, შესაძლებელია იმის შემოწმება, ხელშეკრულების საკვლევი ვერსია შეესაბამება თუ არა იმას, რომელსაც მხარეებმა ხელი მოაწერეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ Signify-ს პლატფორმა არ იძლევა ხელმოწერილ დოკუმენტში ცვლილების შეტანის საშუალებას. მიუხედავად ამისა, თუ დოკუმენტში შევიდა ცვლილება რაიმე მექანიზმით, მაგალითად, ჩამოტვირთულ PDF ფაილში შეიცვალა რაიმე მონაცემი, შესაძლებელია იმის დადასტურება, რომ განხორციელდა ცვლილება და დოკუმენტი არ შეესაბამება თავდაპირველად ხელმოწერილ დოკუმენტს.

ზემოაღნიშნული ფაქტების დადასტურება Signify-ს მეშვეობით ხელმოწერის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დამოუკიდებელი მესამე პირის (Signify) და მის მიერ გაცემული/მომზადებული მტკიცებულებების საფუძველზე. კერძოდ, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ ხელმოწერისთანავე მიიღონ მტკიცებულებათა რეპორტი, სადაც ასახული იქნება გარიგების დადების დრო, მხარეები და ხელმოწერის დროს გენერირებული უნიკალური ჰეშ კოდი. აღნიშნული ჰეშ კოდი არის კრიპტოგრაფიული ალგორითმის მიერ წარმოებული უნიკალური კოდი. ჰეშ კოდი იქმნება უშუალოდ იმ ფაილის (ხელშეკრულების PDF ვერსია) საფუძველზე, რომელსაც ხელი მოაწერეს მხარეებმა.

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე შეიტანს ცვლილებას ხელმოწერილ ელ. ვერსიაში ან ეცდება დაამზადოს გაყალბებული ვერსია, მსგავსი დოკუმენტ(ებ)ის ჰეშ კოდები იქნება განსხვავებული ხელმოწერილი ელექტრონული ხელშეკრულების ჰეშ კოდისგან. შესაბამისად, მტკიცებულებათა რეპორტში მითითებული კოდი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა ელექტრონულ ფაილებთან შესადარებლად. შედარების შედეგად, თუ აღმოჩნდება, რომ ჰეშ კოდი არის იდენტური, ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერილ ვერსიაში ცვლილებები არ არის განხორციელებული. ხოლო თუ ჰეშ კოდი არის განსხვავებული, დადგინდება, რომ საქმე გვაქვს შეცვლილ ან საერთოდ გაყალბებულ ხელშეკრულებასთან.

აგრეთვე, დავის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება Signify-ს ექსპერტების გამოძახება სასამართლოში და დაკითხვა დოკუმენტის ავთენტურობასთან ან/და ხელმოწერილ დოკუმენტთან, სასამართლოში წარდგენილი ელექტრონული ასლის შედარებასთან დაკავშირებით.

Signify-ს მიერ შემოთავაზებული ზემოაღნიშნული სამი ფორმით ხელმოწერის მტკიცებულებით ღირებულებასთან დაკავშირებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- ***SMS კოდით ვერიფიკაცია***

SMS კოდით ვერიფიკაციის შემთხვევაში, იქმნება პრეზუმფცია, რომ მობილურის ნომრის მფლობელის მიერ განხორციელდა ხელმოწერა. ამგვარი ვერიფიკაცია აპრობირებული მეთოდია, მათ შორის საბანკო სერვისების მიწოდების შემთხვევაში.

- ***ვიდეო იდენტიფიკაცია***

ვიდეო იდენტიფიკაციის დროს, იქმნება ვიდეო და ფოტო მტკიცებულება საიდანაც ჩანს უშუალოდ ხელმომწერი პირი. ამავდროულად, ხდება ID ბარათის ვიდეოკამერით იდენტიფიცირება, რაც დამატებით მტკიცებულებაა, პირის იდენტობის დასადგენად. ამ შემთხვევაში, მესამე პირმა რომც შეძლოს მობილურ ნომერსა და ელ. ფოსტაზე უკანონო კონტროლის მოპოვება, იგი მაინც ვერ შეძლებს გარიგების დადებას სხვისი სახელით. შესაბამისად, ასეთი მეთოდით ხელმოწერის დროს შექმნილი მტკიცებულებების სარწმუნოობის ხარისხი ძალიან მაღალია.

- ***კვალიფიციური ელ. ხელმოწერა/შტამპი***

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შემთხვევაში სახეზეა კანონით დადგენილი პრეზუმფცია. ასეთი სახით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტი სამართლებრივად უთანაბრდება წერილობით დოკუმენტს. *კვალიფიციური ელექტრონული შტამპი იძლევა ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დადასტურების შესაძლებლობას – ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობა და წარმომავლობა უტყუარად ითვლება, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება*[15].

[15] მუხლი 3, პარაგრაფი 2, კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ

IV. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ Signify-ს მიერ შეთავაზებული ელექტრონული ხელმოწერის მომსახურება უზრუნველყოფს ნდობის მაღალ ხარისხს ელექტრონულად შედგენილ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. დავის წარმოშობის შემთხვევაში, შედარებით მარტივად, მოკლე დროში და მცირე დანახარჯებით, Signify-ს და მისი ექსპერტების დახმარებით შესაძლებელია ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმოწერილი დოკუმენტის ცვლილების ან/და დოკუმენტის გაყალბების დადასტურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან Signify-ს მეშვეობით ხელმოწერის პროცესი უფრო გამჭვირვალე და შედეგიც პროგნოზირებადია, მცირდება თავად მხარეთა მიერ ხელმოწერის ნამდვილობასა და დოკუმენტის შეუსაბამობაზე დავის ალბათობაც.

პატივისცემით,
იურიდიული ფირმა BLC